სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/8 31-01- 2020 წელი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტური დასაქმების ფარგლებში ვაკანსიის გამოცხადების შესახებ

გამოცხადდეს ვაკანსია, სტუდენტური დასაქმების ფარგლებში ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 3 ვაკანტურ ადგილზე ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის და ჟურნალისტიკის მიმართულებით 1 წლის ვადით.

ფუნქციები:

- ✓ ფაკულტეტის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების პიარი;
- ✓ ფაკულტეტის საქმიანობაში აქტიური ჩართულობა;
- ✓ პოტენციურ პარტნიორებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- ✓ სამართლის და სოციალური მეცნიერებების საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში აქტიური ჩართვა.

საჭირო ცოდნა და უნარები:

- ✓ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
- ✓ უმაღლესი განათლების შესახებ და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესახებ საქართველოს კანონების ცოდნა;
- ✓ კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ✓ კომუნიკაბელურობა, კრეატიულობა, სხარტი აზროვნება, კეთილგანწყობა, თავაზიანობა და დეტალებზე ორიენტირებულობა.

საჭირო დოკუმენტები:

1. ცნობა სტუდენტის შესახებ
2. CV (https://europass.cedefop.europa.eu/de/documents/curriculum-vitae)
3. სამოტივაციო წერილი
4. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (არ ქონის შემთხვევაში ჩატარდება ტესტირება)

კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

I. ეტაპი - ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება
II. ეტაპი - გასაუბრება

საბუთების მიღება იწარმოებს 2020 წლის 3 თებერვლიდან 10 თებერვლამდე

გასაუბრება - 12 თებერვალი

შედეგების გამოცხადება - 17 თებერვალი

საფუძველი: ფაკულტეტის 2020 წლის 28 იანვრის სხდომის №9 ოქმის ამონაწერი.

რექტორი, პროფ: **/როლანდი კოპალიანი/**

დეკანი, პროფ: **/ნანა შონია/**

ამონაწერი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 28 იანვრის სხდომის № 9 ოქმიდან

სხდომას ესწრებოდნენ: ნ. შონია (სხდომის თავმჯდომარე), ხ. თოდუა (მდივანი), აკ. ბაკურაძე, ნ.ვაშაკიძე, გრ.ქობალიანი, გ.შანიძე, ი. შენგელია, თ. კუპრაშვილი, ე. ჯულაყიძე, ს. სვანაძე, ნ.შენგელია, ე. ჯულაყიძე, ბ. მიქაძე და შ. კუჭუხიძე.

მოისმინეს: სტუდენტური დასაქმების ფარგლებში სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირბეის და ჟურნალისტიკის მიმართულებით ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.

/ნანა შონია, ფაკულტეტის დეკანი/

ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი არის ინტერდისციპლინარული და სტუდენტთა მრავალრიცხოვნობით გამორჩეული ფაკულტეტი, ამ ეტაპზე მხოლოდ ორ პროგრამას აქვს რეაკრედიტაცია (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს) გავლილი და 12 პროგრამა მზადების პროცესშია. ასევე, ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობის დროს გამოვლინდა, რომ ფაკულტეტის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს ფაკულტეტის საქმიანობის PR. ზოგადად, PR, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობები, თანამედროვე სამყაროში ყველაზე მძლავრი და მნიშვნელოვანი კაპიტალი გახდა, ხოლო ინფორმაციისა და საზოგადოებრივი აზრის მართვა დემოკრატიული მმართველობის სტაბილურობის შენარჩუნების საჭირო მექანიზმი.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საზოგადოებასთან ურთიერთობას დიდი როლი ენიჭება დღევანდელ საზოგადოებაში, ის გვევლინება ინფორმაციის მმართველად და ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგემით გამოვლენილი სუსტი მხარის დაძლევაზე აქტიურად ვიმუშაოთ.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად გვესაჭიროება შესაბამისი კომპეტენციის პირები და მიზანშეწონილად მიმაჩნია შერჩევა მოხდეს სტუდენტთა კონტიგენტიდან, რისთვისაც აუცილებელია გამოვაცხადოთ კონკურსი.

ქალბატონმა ნანამ საბჭოს წევრებს შეთავაზა კონკურსის პირობების შემუშავება:

აზრი გამოტქვეს: ტენგიზ კუპრაშვილმა, მამუკა შენგელიამ, ნანა შენგელიამ და სხვებმა. ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია კანდიდატს გააჩნდეს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის უნარი, იყოს კრეატიული, სხარტი აზროვნების და კომუნიკაბელური. ასევე, აუცილებელია წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.

დაადგინეს:

I. გამოცხადდეს ვაკანსია, სტუდენტური დასაქმების ფარგლებში, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 3 ვაკანტურ ადგილზე ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის და ჟურნალისტიკის მიმართულებით.

II. ვაკანსიის პირობები განისაზღვროს შემდეგი მოტხოვნების შესაბამისად:

ფუნქციები:

- ✓ ფაკულტეტის პიარი;
- ✓ პოტენციურ პარტნიორებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- ✓ სამართლის და სოციალური მეცნიერებების საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში აქტიური ჩართვა.

საჭირო ცოდნა და უნარები:

- ✓ სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
- ✓ უმაღლესი განათლების შესახებ და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესახებ საქართველოს კანონების ცოდნა;
- ✓ კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ✓ კომუნიკაბელურობა, კრეატიულობა, სხარტი აზროვნება, კეთილგანწყობა, თავაზიანობა და დეტალებზე ორიენტირებულობა.

საჭირო დოკუმენტები:

1. ცნობა სტუდენტის შესახებ
2. CV (https://europass.cedefop.europa.eu/de/documents/curriculum-vitae)
3. სამოტივაციო წერილი
4. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (არ ქონის შემთხვევაში ჩატარდება ტესტირება)

III. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად: პირველი ეტაპი - ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, მეორე ეტაპი - გასაუბრება.

IV. საბუთების მიღების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 10 თებერვლამდე;

V. გასაუბრება - 12 თებერვალი;

VI. შედეგების გამოცხადება - 17 თებერვალი

ფაკულტეტის დეკანი, პროფ: /ნანა შონია/